

## ბიოგრაფია

მე, ბონდო გასვიანი ნიკოლოზის ძე, დავიბადე 1988 წლის 29 ოქტომბერს, საქართველოში, ქალაქ სოხუმში საჯარო მოხელეების, მრავალშვილიან ტრადიციულ ოჯახში, სადაც ბავშობიდან მიღვივებდნენ ქვეყნის და მოყვასის სიყვარულს, პატრიოტიზმს. გამზარდეს პრინციპულ და განვითარებაზე ორიენტირებულ პიროვნებად.

აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო, დევნილობის პირობებში რამდენჯერმე მომიწია სკოლის შეცვლა. 2005 წელს დავამთავრე ქ. თბილისის N52 საჯარო სკოლა. 2005 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებით (100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით) ჩავაბარე სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე და 2009 წელს მოვიპოვე ბაკალავრის ხარისხი სპეციალობით - საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე. იმავე წელს ჩავაბარე სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე და მუშაობის პარალელურად 2012 წელს მომენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი. 2012 წელს ჩავერიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე და 2019 წელს დავიცავი სადოქტორო დისერტაცია თემაზე: "საერთაშორისო ბიზნესის სამეწარმეო სტრუქტურების განვითარების ძირითადი მიმართულებები გლობალიზაციის პირობებში", რის საფუძველზეც საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მომენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხი. ჩემი კვლევის სფეროებია: საერთაშორისო მეწარმეობა, ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო მენეჯმენტი, აღრიცხვა-ანგარიშგება აუდიტი, ასევე ბოლო პერიოდში აქტიურად ჩავერთე ოკუპირებული ტერიტორიის ეკონომიკური მდგომარეობის შემსწავლელ კვლევებში რაზეც გამოიგა შესაბამისი მონოგრაფია. ვარ 10 - მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, სტატიების და მონოგრაფიის ავტორი/თანაავტორი, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ამჟამად ვცხოვრობ ქალაქ თბილისში ალ. ყაზბეგის გამზ. N24 ბინა N39. ტელ. 0322397026, მობ. +995577380204, ელ. ფოსტა: bondogasviani@gmail.com .

2010-2013 წლებში ვმუშაობდი შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ სხვადასხვა თანამდებობებზე მათ შორის აღრიცხვისა და რეალიზაციის დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. კომპანიის შექმნის და განვითარების პროცესში წვლილი შევიტანე შემოსავლების სტრუქტურის და საქმიანობის დახვეწაში შევქმენი სახელმძღვანელო და ვატარებდი ტრენინგებს შემოსავლების, აღრიცხვა რეალიზაციისა და ბილინგის მიმართულებით. მივიღე დიდი გამოცდილება დეპარტამენტის დაქვემდებარებაში მყოფი სამმართველოების, რეგიონული ფილიალებისა და მათში შემავალი სერვისცენტრების კონტროლისა და თანამშრომელთა სწორად და მიზნობრივად მართვაში. 2013 წელს პარალელურად დავიწყე მუშაობა კერძო სექტორში, კერძოდ, ტურისტული კომპანია M – Tour - ში დირექტორის მოადგილედ, სადაც შევიძინე ახალი პროექტების დაგეგმვაში და

განვითარებაში გამოცდილება. 2014-2019 წლებში მუშაობა გავაგრძელე სახელმწიფო აუდიტის სამსახურში აუდიტორის პოზიციაზე (აუდიტორ ასისტენტი, უფროსი აუდიტორი, წამყვანი აუდიტორი) სადაც დავხვეწე პროფესიონალიზმი, ავიმალე კვალიფიკაცია და მივიღე გამოცდილება. მივიღე მონაწილეობა - 7 ფინანსურ, 1 შესაბამისობის აუდიტში მონაწილეობა და როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა ჩავატარე 26 ფინანსური და 18 შესაბამისობის აუდიტი. 2015 წელს წარმატებით გავიარე საჯარო აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამა და მოვიპოვე საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატი N 0100. 2016 წელს გენერალური აუდიტორის შესაბამისი გადაწყვეტილებით მომენიჭა საჯარო სამსახურის მეორე კლასის მრჩეველის ჩინი. 2019 წელს დავინიშნე აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მინისტრის მოადგილედ, სადაც არსებული გამოცდილებით მივიღე მონაწილეობა და გავატარე მნიშვნელოვანი რეფორმები ბიუჯეტის დაგეგმვის და ფინანსების მართვის კუთხით.

ამჟამად ვმუშაობ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. ჩემს უფლება მოვალეობებში შედის სააგენტოს საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობაზე, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაზე, ადამიანური რესურსების მართვის, სამეურნეო საქმიანობასა და აქტივების მართვაზე ზედამხედველობა და კოორდინაცია კანონმდებლობის შესაბამისად. ჩემი ხელმძღვანელობით სამსახურში ამჟამად დასაქმებულია 17 თანამშრომელი. ამავდროულად ვეწევი პედაგოგიურ მოღვაწეობას. ვარ მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადაც ვუძღვები საგანს - კროს-კულტურული ურთიერთობები საერთაშორისო ბიზნესში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანს - შესავალი კურსი აუდიტში.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

ნათესავების შესახებ გაცნობებთ შემდეგ მონაცემებს:

მეუღლე – ქაშიზაძე ნათია ნოეს ასული, დაიბადა 1996 წლის 02 მარტს ქალაქ ბათუმში. 2021 წელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნის მაგისტრის ხარისხი. ამჟამად მუშაობს აფხაზეთის ა/რ იუსტიციისა, რეინტეგრაციისა და კონფლიქტის მოგვარების მინისტრის აპარატში სპეციალისტად.

შვილი - გასვიანი კონსტანტინე ბონდოს ძე, დაიბადა 2019 წლის 16 თებერვალს ქალაქ თბილისში.

ავტობიოგრაფიის შედგენის თარიღი: 06.07.2021

პირადი ხელმოწერა

